განმცხადებელი : ანრი ოხანაშვილი
თარიღი : 10-05-2021

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი : პრინციპი 1;პრინციპი 3;პრინციპი 5

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები : ჟანა აკოფაშვილი (არხი "მთავარი"), ტელეფონი: 557575060. მიხეილ სესიაშვილი (არხი "მთავარი")

სადავო მასალა : ჟანა აკოფაშვილის სიუჟეტი: "დეპუტატის სიმამრი" და ამასთან დაკავშირებით ჟანა აკოფაშვილისა და მიხეილ სესიაშვილის მიერ გავრცელებული ინფორმაცია.

ინფორმაცია გავრცელდა 2021 წლის 10 აპრილს. გამავრცელებელი მედიასაშუალება: არხი "მთავარი". https://mtavari.tv/news/39429-puli-makvs-vqidulob-kalo-anri-okhanashvilis

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება :

"მთავარ" არხზე ჟურნალისტების, ჟანა აკოფაშვილის და მიხეილ სესიაშვილის, მიერ გავრცელდა შემდეგი ცრუ ინფორმაცია:

1. "ანრი ოხანაშვილის სიმამრს, გორში, ზუსტად საოკუპაციო ზოლთან სახელმწიფომ მიზერულ ფასად, პრაქტიკულად საჩუქრად გადასცა 80 ჰა სასოფლო სავარგულები."
2. "მაგრამ ფაქტია, რომ მისთვის მიწების გადაცემა ოხანაშვილის დეპუტატობის პარალელურად იწყება."
3. გავრცელებული ინფორმაცია ასევე შეიცავს კონტექსტს (რომელიც მიმართულია საზოგადოების შეცდომაში შეყვანისკენ), რომ 2016 წელს ამირან ხოდელმა სოფელ ბერშუეთში 12 ჰექტარზე ვაშლის ბაღების გასაშენებლად სახელმწიფოსგან ასი ათასი ლარის დაფინანსება თითქოს ჩემი დეპუტატობის პერიოდში მიიღო.

რეალური ფაქტები კი შემდეგია:

1. სახელმწიფოს ჩემი სიმამრისთვის არანაირი მიწის ნაკვეთი არც სიმბოლურ ფასად და არც საჩუქრად არ გადაუცია. "მთავარი" არხის ჟურნალისტებს, ჟანა აკოფაშვილსა და მიხეილ სესიაშვილს, ზემოაღნიშნული ინფორმაციის დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტი საზოგადოებისთვის არ წარუდგენიათ. ჩემს სიმამრს მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები წლების განმავლობაში შეძენილი აქვს მხოლოდ კერძო პირებისგან და არა სახელმწიფოსგან.
2. ზოგადად არც 80 ჰექტარი სასოფლო სავარგული არ შეუძენია ჩემს სიმამრს ჩემი დეპუტატობის პერიოდში. "მთავარ" არხის ჟურნალისტებს, ჟანა აკოფაშვილსა და მიხეილ სესიაშვილს, ზემოაღნიშნული ინფორმაციის დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტი საზოგადოებისთვის არ წარუდგენიათ. ჩემი მეუღლის ოჯახი ჯერ კიდევ ჩემს დეპუტატობამდე კანონიერად ფლობდა, როგორც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს, ისე სხვა შემოსავლებსა და უძრავ ქონებას, რაც ასახულია შესაბამის საჯარო დოკუმენტებში. მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის ჩემს 2018 წლის დეკლარაციაში მაქვს მითითებული იმ ქონების გასხვისების შესახებ, რომელიც ჩემი მეუღლის ოჯახს ჯერ კიდევ 2000-იან წლებში ჰქონდა და რომლის გასხვისების შედეგადაც მიღებული თანხა გამოიყენა ჩემმა სიმამრმა თავისი საქმიანობისთვის.

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას. : ვეთანხმები